საქართველოს კანონი

„არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5, 1998 წელი, მუხ. 42) მე-9 მუხლის:
ა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მეანაბრე იურიდიული პირები, თუ მათ არა აქვთ ცენტრალური და მუნიციპალური ბიუჯეტების ან სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების დავალიანება.“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საპენსიო შენატანების გადახდა ცენტრალური და მუნიციპალური ბიუჯეტების სახსრების ხარჯზე არ დაიშვება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

15 ივლისი 2020 წ.

N6915-რს